



## გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

31 მაისი 2017 წელი  
რუსთავი

ქ.

**რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

**მოსამართლე: ეკატერინე ყანჩელი  
სხდომის მდივანი: მაგდა შენგელია**

**მოსარჩელე- შპს** [REDACTED]  
**მოსარჩელის წარმომადგენელი- გურამ კონტუაძე**  
**მოპასუხე- [REDACTED]**  
**მოპასუხის წარმომადგენლები- [REDACTED]**  
**დავის საგანი: ვალდებულების შესრულება**

### აღწერილობითი ნაწილი

#### 1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. შეწყდეს შპს [REDACTED] და [REDACTED] შორის 2014 წლის 03 მაისს გაფორმებული მიბარების ხელშეკრულება.

1.2. მოპასუხე [REDACTED] მოსარჩელე შპს [REDACTED] სასარგებლოდ დაეკისროს 2016 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით დარიცხული დავალიანება 5456.10 ლარის ოდენობით;

1.3. დაეკისროს მოპასუხეს 2016 წლის 11 ნოემბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ყოველდღიური შენახვის საზღაურის 0.1 ლარის ოდენობით გადახდა, ავტომობილზე [REDACTED]

1.4. დაეკისროს მოპასუხეს ზიანის ანაზღაურება შენახვის ხარჯის მიუღებელი შემოსავლის სახით ყოველდღიურად 0.1 ლარის გადახდა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან მოსარჩელის საწყობის გამოთავისუფლებამდე ავტოსატრანსპორტო საშუალებისაგან: [REDACTED]

ვინ კოდით: [REDACTED]

ტრანზიტული ნომრით: [REDACTED]

3ტტ-

### სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

სარჩელში მითითებულია, რომ შპს [REDACTED] წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონას, რომელიც მდებარეობს ავტომობილების ბაზრობის ტერიტორიაზე. საბაჟო კონტროლის ზონაში ავტომობილის შეყვანის მიზანია, ავტომობილის მესაკუთრემ თავი აარიდოს სავალდებულო საბაჟო დეკლარირებას. მოსარჩელის ურთიერთობა ავტომობილის მესაკუთრესთან გამომდინარეობს მიბარების სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, კერძოდ, მისი ვალდებულებაა მიიღოს ავტომობილი მესაკუთრისაგან და განათავსოს შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, სადაც ავტომობილების განთავსება ხდება მესაკუთრის მიერ, დადგენილი ნიხრის გადახდის პირობით, ტერმინალი შენახვას ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. ტერმინალის ზონაში ავტომობილის მიბარება არ მოითხოვს წერილობითი ფორმით ნების გამოვლენას. ავტომობილი მოქცეულია საბაჟო რეჟიმში. [REDACTED] ავტომობილი, [REDACTED]

[REDACTED] ვინ კოდით [REDACTED] ტრანზიტული ნომრით [REDACTED] 2014 წლის 03 მაისს შევიდა ღია ტერმინალის ზონაში სავალდებულო საბაჟო დეკლარირებისაგან თავის არიდების მიზნით. პარკირების მომსახურების დღიურ ფასად განისაზღვრა 7 ლარი, პლიუს ერთჯერადი მომსახურება ტერიტორიაზე შემოსვლისათვის 15 ლარის ოდენობით, ხოლო 700 ლარის მიღწევის შემდეგ გადავადების საკომისიო ყოველდღიურად განისაზღვრა 5 ლარის ოდენობით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით, შპს [REDACTED] სარჩელი [REDACTED] მიმართ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2559 ლარის გადახდა, 2016 წლის 10 ნოემბრისათვის მოპასუხის დავალიანება შეადგენს 5456.10 ლარს.

ბესიკო სებისკვერაძეს არაერთი მიმართვის მიუხედავად არ გადაუხდია მიბარების საზღაური, ამასთან არ ახდენს საწყობის გამოთავისუფლებას, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მოსარჩელე მხარეს.

სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა გაიხმო პირველი, მესამე, მეოთხე სასარჩელო მოთხოვნები, ხოლო მეორე სასარჩელო მოთხოვნა დააზუსტა და მოითხოვა, რომ ბესიკო სებისკვერაძეს შპს [REDACTED] სასარგებლოდ დაეკისროს 2015 წლის 10 იანვრიდან 2017 წლის 10 აპრილის ჩათვლით დარიცხული დავალიანება 5466.9 ლარის ოდენობით.

### 2. მოპასუხის პოზიცია

მოპასუხე [REDACTED] წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ აღნიშნული საქმისწარმოება უნდა შეწყდეს, ვინაიდან ამავე მხარეებს შორის, ამავე საფუძვლით უკვე არსებობს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც ბესიკო სებისკვერადეს შპს [REDACTED] [REDACTED] სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 2559 ლარის გადახდა, აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს აღსრულება.

2017 წლის 30 მარტს გამართულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა წარმოადგინა შემოსავლების სამსახურის მიერ 2017 წლის 28 თებერვალს გაცემული ბრძანება, რომლის თანახმად, [REDACTED] [REDACTED] სახელზე საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი ავტომობილი გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში, შესაბამისად, მოპასუხე არ არის ავტომობილის მესაკუთრე, რის გამოც ვერ ახერხებს მის განბაჟებას და საკუთარ სახელზე აღრიცხვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბესიკო სებისკვერადე არ წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს და სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### 3. ფაქტობრივი გარემოებები

#### 3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. მოსარჩელე შპს [REDACTED] წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონაში, საბაჟო საწყობში მომსახურე ორგანიზაციას, რომლის კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დროებით შენახვის შემთხვევაში შენახვის ფაქტობრივ ვადაში ნივთის მესაკუთრეს არ გააჩნია საბაჟო დეკლარირების ვალდებულება.

#### **სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:**

სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო საწყობის (ღია ან დახურული) საქმიანობის სანებართვო მოწმობა [REDACTED] მოსარჩელის წარმომადგენლის ახსნა-განმარტება

3.1.2. [REDACTED] ავტომობილი [REDACTED] ვინ კოდით [REDACTED] ტრანზიტული ნომრით - [REDACTED] 2014 წლის 03 მაისიდან იმყოფებოდა მოსარჩელე შპს [REDACTED] ტერიტორიაზე.

#### **სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:**

მოსარჩელის წარმომადგენლის ახსნა-განმარტება, 2014 წლის 03 მაისის ხელშეკრულება

3.1.3. ავტომობილს [REDACTED] ვინ კოდით [REDACTED] ტრანზიტული ნომრით [REDACTED], არ გაუვლია სავალდებულო რეგისტრაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

**სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:**

მოსარჩელის წარმომადგენლის ახსნა-განმარტება,

3.1.4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, შპს [REDACTED] სარჩელი დაკმაყოფილდა და [REDACTED] ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2559 ლარის გადახდა.

**სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება

3.1.5. ბესიკო სებისკვერადის სახელზე საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი ავტომობილი [REDACTED] ვინ კოდით [REDACTED] ტრანზიტული ნომრით [REDACTED] გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში.

**სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:**

მხარეთა ახსნა-განმარტება, შემოსავლების სამსახურის მიერ 2017 წლის 28 თებერვალს გაცემული ბრძანება.

**3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები**

3.2.1. ბესიკო სებისკვერადის დავალიანება შპს „[REDACTED] მიმართ 2015 წლის 10 იანვრიდან 2017 წლის 10 აპრილის ჩათვლით შეადგენს 5466.9 ლარს.

აღნიშნულს სასამართლო ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით განმტკიცებული შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, რომლის თანახმადაც მხარე თავისუფალია, მისი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენაში. კერძოდ, მხარე აღჭურვილია უფლებით, თავადვე განსაზღვროს თუ რა ფაქტებითა და მტკიცებულებებით დაადასტუროს მისი მოთხოვნა, მან საკუთარი შეხედულებით, დამოუკიდებლად უნდა განსაზღვროს და გადაწყვიტოს თუ რა ფაქტობრივი საფუძვლის მითითებით გაამყაროს მისი მოთხოვნის მართებულობა, ამ მხრივ მხარეს აქვს აბსოლუტური შესაძლებლობა, მიუთითოს ნებისმიერ ფაქტსა თუ მოვლენაზე, რაც, მისი აზრით, ადასტურებს მისი მოთხოვნის კანონიერებას. ამავ კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი კი ორინტირებულია მატერიალური თვალსაზრისით მტკიცებულებათა სათანადოობის დადგენაზე.

განსახილველ შემთხვევაში შპს [REDACTED] წარმომადგენელი სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 763-ე, 764-ე მუხლებზე, ხოლო მისი მოთხოვნის მართებულების დასადასტურებლად წარმოადგინა შპს [REDACTED] დირექტორის მიერ 2016 წლის 9 ნოემბერს გაცემული ბრძანება და ცნობა დავალიანების შესახებ.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს [REDACTED] წარმომადგენელმა შესანახად მიიღო მოპასუხის ავტომანქანა, დადო მასთან მიბარების ხელშეკრულება და იკისრა შესაბამისი ვალდებულებები. მოპასუხის მიერ მოსამზადებელ სხდომაზე წარმოდგენილი იქნა ბრძანება [REDACTED] ს სახელზე არსებული ავტომანქანის სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. შესაბამისად სასამართლო მიიჩნევს, რომ მოთხოვნა თანხის დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, ავტომანქანის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემამდე - 2017 წლის 27 თებერვლამდე. რაც შეეხება მოპასუხის მოსაზრებას, რომ [REDACTED] ამავე საფუძვლით უკვე დაკისრებული აქვს თანხა, რის გამოც უნდა შეწყდეს საქმისწარმოება, სასამართლო ვერ გაიზიარებს ვინაიდან, 2015 წლის 27 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოპასუხეს დაეკისრა დავალიანების 2559 ლარის გადახდა, რომელიც დაანგარიშებულია 2015 წლის 06 იანვრის მდგომარეობით, რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას, იგი სხვა საფუძვლით ითხოვს თანხის დაკისრებას, კერძოდ, 2015 წლის 10 იანვრიდან 2017 წლის 10 აპრილის ჩათვლით დარიცხული დავალიანების 5466.9 ლარის ოდენობით. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები.

## **სამოტივაციო ნაწილი**

### **4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა**

საქმის მასალების შესწავლის, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

### **5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-317-ე, 327-ე, 780-ე, 781-ე მუხლები;

### **6. სამართლებრივი შეფასება**

6.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია

მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა 2014 წლის 03 მაისს გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 780-ე მუხლის თანახმად, სასაქონლო საწყობში მიბარების ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება მიბარების ხელშეკრულების შესაბამისი ნორმები, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამავე კოდექსის 781-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასაწყობო შემნახველმა საქონლის მიბარების ვალდებულებები უნდა შეასრულოს კეთილსინდისიერი მეურნის გულისხმიერებით.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელე შპს [REDACTED] წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონაში, საბაჟო საწყობში მომსახურე ორგანიზაციას, რომლის კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დროებით შენახვის შემთხვევაში შენახვის ფაქტობრივ ვადაში ნივთის მესაკუთრეს არ გააჩნია საბაჟო დეკლარირების ვალდებულება.

სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის შესაბამისად, ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. აღნიშნული დაშვება საჭიროა სამოქალაქო ბრუნვის მიზნებისთვის, როდესაც მოძრავი ნივთის მფლობელი არ უნდა იყოს იძულებული, თავისი საკუთრების უფლება, ნივთზე აქტიური ბატონობის გარდა, სხვაგვარადაც ამტკიცოს. თუმცა აღნიშნული არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ ნივთის ყველა მესაკუთრე აუცილებლად არის მისი მფლობელიც.

განსახილველ შემთხვევაში მხარეთა ახსნა-განმარტებებით და დავალიანების შესახებ ცნობის შინაარსით დადგენილია, რომ მოპასუხე [REDACTED] მოსარჩელეს 2014 წლის 03 მაისს მიაბარა ავტოსატრანსპორტო საშუალება [REDACTED], ვინ კოდით [REDACTED], ტრანზიტული ნომრით - [REDACTED] და ეს უკანასკნელი 2017 წლის 28 თებერვლის შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ 2017 წლის

27 თებერვლის ჩათვლით, აღნიშნული ავტომანქანა მოპასუხე ბესიკო სებისკვერადის საკუთრებაში იმყოფებოდა და იგი ვალდებული იყო გადაეხადა შენახვის საზღაური.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი 2015 წლის 10 იანვრიდან 2017 წლის 27 თებერვლის ჩათვლით არსებული დავალიანების დაკისრების მოთხოვნის ნაწილში საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

## **7. საპროცესო ხარჯები**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე კოდექსის 55-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ამავე კოდექსის 83<sup>1</sup> -ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამომხმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

ვინაიდან სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა სარჩელი ნაწილობრივ გაიხმო, ასევე სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე [REDACTED] მოსარჩელე შპს „[REDACTED]“ სასარგებლოდ გადასახდელად უნდა დაეკისროს 163.88 ლარის გადახდა, დარჩენილი თანხა კი უნდა უნდა დაუბრუნდეს მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

## **8. უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხები**

მოცემულ საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიება არ განხორციელებულა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 83<sup>1</sup>-ე, 243-244-ე, 249-ე, 257-ე, 259<sup>1</sup>-ე, 364-ე, 369-ე მუხლებით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს [REDACTED] სარჩელი მოპასუხე [REDACTED] მიმართ ვალდებულების შესრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. მოპასუხე [REDACTED] მოსარჩელე შპს „[REDACTED]“ სასარგებლოდ დაეკისროს 2015 წლის 10 იანვრიდან 2017 წლის 27 თებერვლის ჩათვლით დარიცხული დავალიანება 5462.80 ლარის ოდენობით;

3. მოპასუხე [REDACTED] ს მოსარჩელე შპს [REDACTED] ს” სასარგებლოდ დაეკისროს 163.88 ლარის გადახდა, მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით;

4. შპს „[REDACTED]“ უკან დაუბრუნდეს 2016 წლის 16 ნოემბერს საგადახდო დავალეზა № 436 მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 170.25 ლარიდან ნაწილი- 6.37 ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილია შემდეგ რეკვიზიტებზე: სახაზინო კოდი: 300063150, ბანკის კოდი: TRESGE22;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. #7<sup>ა</sup>) დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით რუსთავის საქალაქო სასამართლოს (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. #6) მეშვეობით.

7. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

**მოსამართლე:**

**ეკატერინე**



ყანჩელი